პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

საქართველოს კოსტიტუციაში, ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის უკეთ რეგულირებისათის, ვაპირებთ რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირებას.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

სასამართლოზე ზემოქმედების ფაქტორების შემდგომი შეზღუდვისათვის საკანონმდებლო გარანტიების ხელშეწყობა.

3. რა პოლიტიკას განახორციელებთ ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განსამტკიცებლად?

პირველი ეტაპი:
- არსებული საკანონმდებლო ბაზის შეფასება;
- არსებული პრაქტიკის შეფასება.

მეორე ეტაპი:
- სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრა;
- არსებული კანონმდებლობის დახვეწა ან ახალი საკანომდებლო ბაზის ფორმირება.

მესამე ეტაპი:
- აღნიშული სტრატეგიის განხორციელებაზე მკაცრი საპარლამენტო კონტროლის დაწესება.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

საქართველოში უნდა არსებობდეს სისტემა, რომელიც დემოკრატიული პროცედურების დარღვევის გარეშე უზრუნველყოფს საკანონმდებო ორგანოში საზოგადოების ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის თანაბარი წარმომადგელობის არჩევითობის შესაძლებლობას. ასეთად ორპალატიანი პარლამენტი, სადაც ერთი პალატა პროპორციული სისტემით კომპლექტდება, ხოლო მეორე - თანაბარ რეგიონულ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს.

5. როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რა პოლიტიკას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

მიგვაჩნია, რომ განათლების პოლიტიკა დღეს მეტისმეტად ცენტრალიზებულია და სისტემა არ არის დაზღვეული უხეში სახელმწიფო- ადმინისტრაციული ჩარევისგან. სახელმწიფო უნდა შემოიფარგლოს სასურველი შედეგების ერთიანი პარამეტრების შემუშავებითა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობით განათლების ყველა საფეხურისთვის. მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს ადგლობრივ მუნიციპალურ ორგანოებს საკუთარი მიზნების და ამოცანების რეალიზაციისთვის.

6. რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?

მიგვაჩნია, რომ უმუშევრობის დაძლევის საკითხი უნდა განიხილებოდეს ერთიან პაკეტში სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა პარამეტრებთან ერთად. იხ. მე-2 ბლოკის მე-2 პუნქტი.

7. როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?

- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- მაღალტექნოლოგიური დარგების დანერგვა-განვითარება;
- გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში თანამონაწლეობა;
- ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის განვითარების რეალური პერსპექტივების გათვლა.

8. ლარის კურსის გაუფასურებამ გასულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე. აპირებთ თუ არა რაიმე პოლიტიკის გატარებას ამ მიმართულებით და თუ ასეა, რაში მდგომარეობს თქვენი გეგმა?

- ინფლაციის თარგეთირება;
- სოციალური შედეგების შერბილება.

9. გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2020 წელს შესაძლებელი იქნება შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.

მიგვაჩნია, რომ 2020 წლისათვის მხოლოდ მმართველ პოლიტიკური გუნდს შეუძლია წარმოადგინოს კონრეტული ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.

10. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ პოლიტიკასთან მიმართებაში და დაასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.

მიგვაჩნია, რომ საწყის ეტაპზე, საქართველოში უნდა აღდგეს პროგრესული საგადასახადო სისტემა, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, ჩართოს მდიდარი ფენა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

11. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი ასეთი პოზიცია გამოკვეთილი გაქვთ.

ასეთი პოზიცია გამოკვეთილი არ გვაქვს.

12. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართულებით?

სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ რაიმე პოლიტიკის გატარების საშუალება, როგორც უმცირესობაში მყოფ პოლიტიკურ ჯგუფს, არ გვექნება. ამიტომ ჩვენი მიდგომა

გაპირობებული იქნება იმით, თუ რის გატარებას ეცდება უმრავლესობით წარმოდგენილი პოლიტიკური გუნდი.

13. გთხოვთ, პირობითად გაანაწილოთ საქართველოს ბიუჯეტი თქვენი პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით (მაგალითად: თავდაცვა 25%, ჯანდაცვა 25%, სოციალური სფერო 25%, განათლება 15%, სხვა 10% და ა შ. სადაც კატეგორიაში "სხვა" მხოლოდ 3%-ზე ნაკლები მოცულობის მიმართულებები მოხვდება).

ჩვენი პოლიტიკის პრიორიტეტებია: განათლება, თავდაცვა და სოციალური სფერო. რაც შეეხება პროცენტულ დანაწილებას, მიგვაჩნია, რომ იგი, გარდა კონკრეტული საბიუჯეტო ჯამური მონაცემებისა, დამოკიდებულია სარეალიზაციო პროგრამათა თავისებურებებზე და ვარაუდით ამ პროცენტების მონიშვნა არასერიოზულია.

14. რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობით, კონფლიქტში მონაწილე სუბიექტების ურთიერთნდობის აღდგენის მიზნით, მომგებიანად მიგვაჩნია:

- დაპირისპირებულ მხარეთა ინტენსიური დიალოგი საზგადოების სხვადასხვა ფენების ჩართვით;
- ე.წ. სასაზღვრო ზოლში ეკონომიკური ცხოვრებისა და ურთიერთობების წახალისება;
- ოკუპაციის ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის სხვადასხვა მომსახურებათა შეთავაზება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დაცალკავებული ოჯახების გამთლიანების პოლიტიკის ხელშეწყობა;
- ნათესაური და სამეზობლო პიროვნული კავშირების აღდგენის ხელშეწყობა;
- ყოფილი კომბატანტების შეხვედრებისა და დიალოგის ხელშეწყობა.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

მიგვაჩნია, რომ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხი (უმუშევრობის პრობლემის დაძლევისდაგვარად) უნდა განიხილებოდეს ერთიან პაკეტში სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა პარამეტრებთან ერთად (იხ. ამავე ბლოკის მე-2 პუნქტი).

2. რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

- გადაისინჯოს საქართველოში სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსებული კონცეპტუალური მიდგომები;

- შეიქმნას სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიულ მიზანთა ერთიანი ხედვა;
- საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ამ მიზანთა რეალიზაციის ეტაპები;
- საგანგებოდ შექმნილი საპარლამენტო კომისიის საშუალებით, განხორციელდეს ამ გეგმის რეალიზაცია.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

იხ. ამავე ბლოკის მე-2 პუნქტი.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

- სხავადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის განისაზღვროს ინტეგრირების პარამეტრები;
- საკანონმდებლო გარანტიების ფორმირება;
- სახალხო დამცველის ოფისის ჩართვა მონიტორინგის პროცესში.

5. პარლამენტთაშორისი კავშირის (Inter Parliamentary Union) მონაცემებით, საქართველო 185-დან 147-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოს წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის.

მიგვაჩნია, რომ ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის ზრდა არის არა არითმეტიკული მაჩვენებლის ხელოვნურად ზრდა, არამედ საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილების მაჩვენებელი. ამიტომ ეს პროცესი თავისით დარეგულირდება ამ მოთხოვნილების ზრდასთან ერთად და პარამეტრის რაიმე ნიშნულის ფიქსირება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია (მაგალითად, ამ მომენტისათის, ჩვენს პოლიტიკურ გაერთიანებაში ეს მაჩვენებელი 33%-ია, რომელმაც შემდგომ, შესაძ ლოა, ცვლილება განიცადოს).

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით და რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ, რომ საქართველოში ყველა ბავშვის უფლება იყოს დაცული?

მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით არსებობს ორი პრობლემა: განათლების უფლების რეალიზაცია; ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა.

7. გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.

იხ. ამავე ბლოკის მე-2 პუნქტი.

8. აპირებთ თუ არა რაიმე სპეციალური პოლიტიკის გატარებას ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

თუ საკითხი საპარლამენტო სესიის დღის წესრიგში მოხვდება, მონაწილეობას მივიღებთ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში.

9. აპირებთ თუ არა რაიმე პოლიტიკის გატარებას სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობისთვის?

მონაწილეობას მივიღებთ ერთიანი სახელმწიფო ხედვისა და საკანონმდებლო ბაზის ფორმირებაში, ასევე შემუშავებლი პოლიტიკის განხორციელებისა და შედეგების მონიტორინგის პროცესში.

საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისათვის.

რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ პროექტებსა და უსაფრთხოების სისტემებში მონაწილეობა, ქვეყნის პოლიტიკური ავტორიტეტის მოპოვება სხვადასხვა ფორმატის მოლაპარაკებებსა და დისკუსიებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ფორუმებისათის სივრცის გახსნის გზით.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

გლობალურად, საქართველოსათვის ცივილიზაციური განვითარების ვექტორად ევროპულ ცივლიზაციას მივიჩნევთ, ხოლო სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის კრიტერიუმი, მოცემულ პოლიტიკურ სივრცეში, არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. აქედან, დღეს-დღეობით, საქართველოს მთავარ სატრატეგიულ პარტნიორებად მიგვაჩნია ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის განმტკიცება, განათლება, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

სამხეთ კავკასია - მყარი და ხანგრძლივი სამშვიდობო სივრცე.

5. როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?

თავდაცვის ორგანიზაცია მრავალ პრამეტრზეა დამოკიდებული, ამიტომ მოქნილი და ეფექტური სამხედრო ორგანიზაციის ალგორითმის შემუშავებას ამ პარამეტრების შესწავლა უნდა უძღოდეს (მაგ. გეოგრაფიული თავისებურებანი, ბუნებრივი და წარმოებული რესურსების მოცულობა და

ხელმისაწვდომობა, დემოგრაფიული სურათი; რა პირობები განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების აუცილებელ გამოყენებას და სავარაუდო სამხედრო ოპერაციათა ხასიათი, ეფექტური დოქტრინა, წვრთნის ხარისხი, სტანდარტები და ა.შ.). ასეთი მოცემულობების ცოდნის გარეშე თავდაცვის ორგანიზაციაზე საუბარი ზედაპირულად მიგვაჩნია.

6. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

- საერთო ეროვნული კონსესუსი ეროვნული ღირებულებებისა და მიზნების შესახებ;
- საერთო ეროვნული კონსესუსი შეიარაღებული ძალების აუცილებელი გამოყენების შესახებ;
- ეროვნული სტრატეგიისა და ეროვნული სამხედრო სტრატეგიის განსაზღვრა 5-10 წლიან და 25 წლამდე პერიოდისთვის;
- ეროვნული ძალის ინსტრუმენტების ეტაპობრივი ინსტიტუციური სრულყოფა;
- შეიარაღებული ძალების მშენებლობა და შიდა პოლიტიკური დაპირისპირების ზეგავლენისგან მათი გარანტირებული დაცვა.